ხელშეკრულება № 103
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის
განხორციელების შესახებ
(CPV - 55110000)

თბილისი **„1“ „მაისი“ 2018წ**

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი“ (შემდგომში - „შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით და მეორე მხრივ ფ.პ ლექსო ქარდავა (შემდგომში – „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისათვის“ რეზიდენციის (სასტუმროს) სტუმრების მომსახურების მიწოდებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **850,00** (რვაას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ერთი თვის მომსახურების ღირებულება შეადგენს **425,00** (ოთხას ოცდახუთი) ლარს (მათ შორის **340,00** ლარი ხელზე ასაღები თანხა, ხოლო **85,00** „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას დაუკავოს „მიმწოდებელს“ კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი).

3. მომსახურების სახეობა და მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს სსიპ „მწერალთა სახლის“ შენობაში არსებულ რეზიდენციაში (სასტუმროში) სტუმრების მომსახურების მიწოდებას, კერძოდ: სტუმრების დაბინავებას, მორიგეობას რეზიდენციაში ღამის განმავლობაში, ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას სტუმრებისთვის.

3.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით, მისამართზე; თბილისი, ივ.მაჩაბლის №13.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. „მიმწოდებელი” ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე ყოველი თვის არაუგვიანეს 30 რიცხვისა „შემსყიდველთან” ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

4.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება, ყოველთვიურად ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში.

4.4. დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „შემსყიდველის” მიერ იმ მომსახურების მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს „მიმწოდებელმა” ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, “შემსყიდველის” მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა უფლებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. “მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად.

ბ) დროულად განიხილოს „მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

11.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად .

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - „მიმწოდებელთან", მეორე -,,შემსყიდველთან''.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
სსიპ „მწერალთა სახლი"	ფ.პ ლექსო ქარდავა
ს/კ 205299005	პ/ნ 62003015703
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. №13	მის: თბილისი, ჩარგლის ქ. № 75
ტელ: 2 97 41 01, 2 97 41 02	ტელ: 597 113 001
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>	**<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>**
სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი"
TRESGE22	BAGAGE22
სახზინო კოდი 33 02 01 26	ა/ა GE95BG0000000100953790
დირექტორ-მენეჯერი:	**ფიზიკური პირი:**
ნატალია ლომოური	**ლექსო ქარდავა**

WRITERS HOUSE OF GEORGIA 205299005